

შპს „სტილ საქართველო“-ს და მისი შვილობილი კომპანიების

*კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგებები*

მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა-----	3-7
--------------------------------------	-----

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	8
---	---

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება-----	9
---	---

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება-----	10
---	----

კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგება-----	11
--	----

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შპს „სტილ საქართველო“ და მისი საქმიანობა-----	12
2. კომპანიის საოპერაციო გარემო-----	13
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკებია-----	14
4. ფული და ფულის ექვივალენტები-----	18
5. მოკლევადიანი მოთხოვნები-----	18
6. მარაგები-----	18
7. ძირითადი საშუალებები-----	19
8. საგადასახადო აქტივი-----	20
9. გაცემული სესხი-----	20
10. მოკლევადიანი ვალდებულებები-----	20
11. მოკლევადიანი სესხები-----	20
12. გრძელვადიანი სესხები-----	21
13. შემოსავლები-----	21
14. თვითღირებულება-----	21
15. ადმინისტრაციული ხარჯები-----	22
16. მიწოდების ხარჯები-----	22
17. გაუთვალისწინებელი გარემოებები-----	22

მმართველობითი ანგარიშგება -----	24-30
---------------------------------	-------

შპს „სტილ საქართველოს“ ხელმძღვანელობას და პარტნიორებს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სტილ საქართველოს“ (ს/ნ 401950377) და მისი შვილობილი კომპანიების 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტის შედეგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სტილ საქართველოს“ (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას; მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას; ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას; საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას. ასევე, 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგებას.

პირობითი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, პირობითი მოსაზრების

შპს „აუდიტი და კონტროლი“, ს/ნ 401952856, <http://auditcontroll.com/>
0159 თბილისი, დიდშის მასივი, მე-4 კვარტალი, I კორპუსი, ბ.№5.
გარიგების პარტნიორი: გაია ტუხაშვილი, რეგისტრირებულია სახელმწიფო რეესტრში:
№ SARAS-A-469815; № SARAS-F-833498, auditori.tukhashvili@gmail.com; ტელ.599 54 03 55
პროფესიული პასუხისმგებლობა დაზღვეულია 200.000 ლ

შგვერდი

საფუძველის აბზაცში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღისთვის.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

არ არის ჩატარებული კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ალტერნატიული გზით აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად არ ჩაგვიტარებია მარაგის შერჩევითი ინვენტარიზაცია, რადგან ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია ვერ იქნებოდა სანდო იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის ბოლოსთვის ფიქსირდება კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების უარყოფითი ნაშთები, რაც მთლიანი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის რეალობას საეჭვოს ხდის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე“ - ნაწილში.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ დამოუკიდებლობა ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

სხვა ინფორმაცია მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ფინანსურ ანგარიშგებასთან განსხვავებული ისეთი ინფორმაცია, რომლის შესახებაც მოგვეთხოვება მისი გამჟავნება.

ჩვენ გვევალებოდა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოგვეთქვა მოსაზრება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ჯგუფის მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში, მიუვითითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შესახებ.

ჩვენი აზრით, 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ანგარიშგებების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ჯი-ეს-ემ ტრანსის“ ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

აუდიტორი პასუხისმგებელია დაიცვას ეთიკის ნორმები, წარმართოს აუდიტორული პროცედურები იმგვარად, რომ მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები არსებით უზუსტობებს და აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ანგარიშგებებზე.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ანგარიშგებების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება

მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას.

აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ანგარიშგებების წარდგენის შეფასებას.


დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

გია ტუხაშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-469815)

შპს „აუდიტი და კონტროლი“ (SARAS-F-833498)

28 სექტემბერი 2023

თბილისი, საქართველო



შპს „სტილ საქართველო“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ექვივალენტები	4	3,441,444	3,568,096
მოკლევადიანი მოთხოვნები	5	20,938,954	11,914,608
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	28,694,545	35,095,701
ძირითადი საშუალებები	7	6,617,039	5,966,895
საგადასახადო აქტივი	8	1,171,538	1,143,895
გაყვანილი სესხები	9	494,383	70,000
არამატერიალური მარაგები		2,378	2,972
სულ აქტივები		61,360,281	57,762,167
მოკლევადიანი ვალდებულებები	10	3,748,479	2,104,040
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	11	4,830,252	3,590,479
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	12	2,312,522	3,746,807
სულ ვალდებულებები		10,891,253	9,441,326
გაუნაწილებელი მოგება		48,960,884	46,820,085
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		1,235,769	1,235,769
არამაკონტროლებელი წილის საწესდებო კაპიტალი		-	750
არამაკონტროლებელი წილი		272,375	264,238
სულ კაპიტალი		50,469,027	48,320,842
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		61,360,281	57,762,167

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 ივლისს.

„შპს სტილ საქართველო“ დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



/დავით ფრუიძე/

/თამარ გრძელიძე/

შპს „სტილ საქართველო“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ექვივალენტები	4	3,441,444	3,568,096
მოკლევადიანი მოთხოვნები	5	20,938,954	11,914,608
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	28,694,545	35,095,701
ძირითადი საშუალებები	7	6,617,039	5,966,895
საგადასახადო აქტივი	8	1,171,538	1,143,895
გაცემული სესხები	9	494,383	70,000
არამატერიალური მარაგები		2,378	2,972
სულ აქტივები		61,360,281	57,762,167
მოკლევადიანი ვალდებულებები	10	3,748,479	2,104,040
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	11	4,830,252	3,590,479
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	12	2,312,522	3,746,807
სულ ვალდებულებები		10,891,253	9,441,326
გაუნაწილებელი მოგება		48,960,884	46,820,085
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		1,235,769	1,235,769
არამაკონტროლებელი წილის საწესდებო		-	750
კაპიტალი			
არამაკონტროლებელი წილი		272,375	264,238
სულ კაპიტალი		50,469,027	48,320,842
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		61,360,281	57,762,167

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 ივლისს.

„შპს სტილ საქართველოს“ დირექტორი:

/დავით ფრუიძე/

მთავარი ბუღალტერი:

/თამარ გრძელიძე/

შპს „სტილ საქართველო“

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	82,464,244	50,360,563
შემოსავლის თვითღირებულება	14	(73,320,874)	(33,305,745)
საერთო მოგება		9,143,370	17,054,818
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,792,924)	(1,240,972)
მიწოდების ხარჯები	16	(418,156)	(787,436)
სხვა (ზარალი)/მოგება, ნეტ		(783,181)	-
ფინანსური ხარჯები		(2,092,072)	(1,553,485)
ფინანსური შემოსავალი		235,878	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები, ნეტ		(2,166)	43,241
საოპერაციო მოგება		4,290,748	13,516,166
მოგების გადასახადი		(21,432)	(7,617)
წმინდა მოგება		4,269,316	13,508,549
კომპანიის წმინდა მოგება		4,261,180	13,542,095
არამაკონტროლებელი წილისთვის მისაკუთვნებელი		8,136	(33,546)
გაცემული დივიდენდი		(2,120,380)	(615,677)

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 ივლისს.

„შპს სტილ საქართველო“ დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



[Handwritten signature]

/დავით ფრუიძე/

/თამარ გრძელიძე/

შპს „სტილ საქართველო“

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	82,464,244	50,360,563
შემოსავლის თვითღირებულება	14	(73,320,874)	(33,305,745)
საერთო მოგება		9,143,370	17,054,818
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,792,924)	(1,240,972)
მიწოდების ხარჯები	16	(418,156)	(787,436)
სხვა (ზარალი)/მოგება, ნეტ		(783,181)	-
ფინანსური ხარჯები		(2,092,072)	(1,553,485)
ფინანსური შემოსავალი		235,878	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები, ნეტ		(2,166)	43,241
საოპერაციო მოგება		4,290,748	13,516,166
მოგების გადასახადი		(21,432)	(7,617)
წმინდა მოგება		4,269,316	13,508,549
კომპანიის წმინდა მოგება		4,261,180	13,542,095
არამაკონტროლებელი წილისთვის მისაკუთვნებელი		8,136	(33,546)
გაცემული დივიდენდი		(2,120,380)	(615,677)

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 ივლისს.

„შპს სტილ საქართველოს“ დირექტორი:

/დავით ფრუიძე/

მთავარი ბუღალტერი:

/თამარ გრძელიძე/

შპს „სტილ საქართველო“

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	90,179,989	59,492,591
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გადახდილი თანხები და გადასახადები	(87,579,774)	(55,444,324)
	2,600,215	4,048,267
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების დაფარვა	(194,512)	(2,168,513)
სესის გაცემა	(411,974)	-
გაცემული დივიდენდი	(2,120,380)	(615,677)
	(2,726,866)	(2,784,190)
წმინდა მოძრაობა	(126,652)	1,264,077
ფულის ბალანსი წლის დასაწყისში	3,568,096	2,304,019
ფულის ბალანსი წლის ბოლოს	3,441,444	3,568,096

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 ივლისს.

„შპს სტილ საქართველო“ დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



[Handwritten signature]

/დავით ფრუიძე/

/თამარ გრძელიძე/

შპს „სტილ საქართველო“**კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	90,179,989	59,492,591
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გადახდილი თანხები და გადასახადები	(87,579,774)	(55,444,324)
	2,600,215	4,048,267
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების დაფარვა	(194,512)	(2,168,513)
სესის გაცემა	(411,974)	-
გაცემული დივიდენდი	(2,120,380)	(615,677)
	(2,726,866)	(2,784,190)
წმინდა მოძრაობა	(126,652)	1,264,077
ფულის ბალანსი წლის დასაწყისში	3,568,096	2,304,019
ფულის ბალანსი წლის ბოლოს	3,441,444	3,568,096

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 ივლისს.

„შპს სტილ საქართველოს“ დირექტორი:

/დავით ფრუიძე/

მთავარი ბუღალტერი:

/თამარ გრძელიძე/

შპს „სტილ საქართველო“

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	არამაკონტროლებელი წილი - საწესდებო კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
ბალანსი 01.01.2021	33,892,914	1,235,769	2,350	298,535	35,429,56
წლის მოგება	13,542,095	-	-	(33,546)	13,508,54
გაცემული დივიდენდი	(615,677)	-	-	-	(615,677)
სხვა ცვლილებები	752	-	(1,600)	(750)	(1,598)
ბალანსი 31.12.2021	46,820,084	1,235,769	750	264,239	48,320,84
წლის მოგება	4,261,180	-	-	8,136	4,269,31
გაცემული დივიდენდი	(2,120,380)	-	-	-	(2,120,380)
სხვა ცვლილებები	-	-	(750)	-	(750)
ბალანსი 31.12.2022	48,960,884	1,235,769	-	272,375	50,469,02

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 ივლისს.

„შპს სტილ საქართველო“ დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



[Handwritten signature]

/დავით ფრუიძე/

/თამარ გრძელიძე/

შპს „სტილ საქართველო“

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	არამაკონტროლებელი წილი - საწესდებო კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
ბალანსი 01.01.2021	33,892,914	1,235,769	2,350	298,535	35,429,568
წლის მოგება	13,542,095	-	-	(33,546)	13,508,549
გაცემული დივიდენდი	(615,677)	-	-	-	(615,677)
სხვა ცვლილებები	752	-	(1,600)	(750)	(1,598)
ბალანსი 31.12.2021	46,820,084	1,235,769	750	264,239	48,320,842
წლის მოგება	4,261,180	-	-	8,136	4,269,316
გაცემული დივიდენდი	(2,120,380)	-	-	-	(2,120,380)
სხვა ცვლილებები	-	-	(750)	-	(750)
ბალანსი 31.12.2022	48,960,884	1,235,769	-	272,375	50,469,028

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 ივლისს.

„შპს სტილ საქართველოს“ დირექტორი:

/დავით ფრუიძე/

მთავარი ბუღალტერი:

/თამარ გრძელიძე/

1. შპს სტილ საქართველო და მისი საქმიანობა

სახელწოდება: სტილ საქართველო.

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; ს/ნ: 401950377;

მარეგისტრირებული ორგანო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №10

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

დირექტორი - დავითი ფრუიძე, პ/ნ 53001020058

პარტნიორები:

60002001603, კახაბერი სანოძე 50%

53001004179, სერაპიონ ჩირგაძე 50%

ცვლილებები სარეგისტრაციო დოკუმენტებში:

შპს „სტილ საქართველო“ (ს/ნ 401950377) დაარსა ფ/პ გივი წიკლაურმა (პ/ნ 01024050005) 2010 წლის 23 სექტემბერს, ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზირი №77-ში. 2013 წლის 27 სექტემბერს გივი წიკლაურმა მისი კუთვნილი 100% წილი 3 000 000 ლარად გაყიდა ვაჟა აფციაურზე (პ/ნ 01024013329 – 33,4%), კახაბერი სანოძეზე (პ/ნ 60002001603 – 33,3%) და სერაპიონ ჩირგაძეზე (პ/ნ 53001004179 – 33,3%). ამავე დროს შეიცვალა შპს-ს იურიდიული მისამართი და გახდა საქართველო, ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №10. 2015 წლის 20 აპრილს ვაჟა აფციაურმა მისი წილი შპს-ში გირავნობით დატვირთა სს „თიბისი ბანკში“. ეს გირავნობა გაუქმდა 2017 წლის 27 ივნისს. ამავე დროს, ვაჟა აფციაურმა მისი კუთვნილი 33,4% წილიდან 16,7% მიჰყიდა კახაბერი სანოძეს და 16,7% - სერაპიონ ჩირგაძეს, თვითოეულს 1609 493,50 ლარად. შედეგად, შპს-ს 50% - 50% წილის მფლობელები გახდნენ კახაბერი სანოძე და სერაპიონ ჩირგაძე.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში შპს „სტილ საქართველოს“ დირექტორია დავით ფრუიძე (პ/ნ 53001020058).

შპს „სტილ საქართველო“-ს (ს/ნ 401950377) მიერ დაფუძნებულია:

1. შპს „ვესტ გრუპ-WEST GROUP“ (ს/ნ 412692910) - წილი 75%;
2. შპს „სტილ საქართველო-სამეგრელო“ (ს/ნ 412697363) - წილი 90%;
3. შპს „თორი“ (ს/ნ 412728384) - წილი 50 %.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობები ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და ხშირი ცვლილებების საგანია.

ადგილობრივი გარემო. განვითარებადი ეკონომიკები, როგორცაა საქართველო, სწრაფი ცვალებადობით ხასიათდება და მოწყვლადია გლობალური ბაზრის მდგომარეობის და ეკონომიკური ვარდნების მიმართ. შედეგად, საქართველოში საქმიანობა უკავშირდება გარკვეულ რისკებს რომლებიც როგორც წესი არ ასოცირდება განვითარებულ ბაზრებთან. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის

განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა არაერთი სამოქალაქო, კრიმინალური, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმა რომლებმაც პოზიტიურად იმოქმედეს ქვეყნის საერთო საინვესტიციო კლიმატზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია ეკონომიკის ეფექტურობაზე, ფინანსურ და მონეტარულ ინდიკატორებზე რასაც მთავრობა ადგენს, საგადასახადო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად.

2022 წელს საქართველოს ეკონომიკამ პოზიტიური დინამიკა აჩვენა პანდემიის შედეგებიდან აღდგენის კუთხით. ამ ტრენდისთვის ხელშემწყობი იყო გლობალური ეკონომიკის აღდგენა და ფასების ზრდა.

მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის და ზემოთ აღწერილი ზომების სამომავლო ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის მოლოდინები და შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტიური შედეგებისგან.

რუსეთ-უკრაინის ომი. ომს უარყოფითი გავლენა ექნება გლობალურ ეკონომიკაზე რაც გამოიხატება სასაქონლო ფასების ზრდაში, ნავთობის, გაზის, ქვანახშირის დეფიციტში, ბიზნესსაქმიანობის შეფერხებაში და ა.შ. კომპანიაზე მნიშვნელოვანი პირდაპირი გავლენა არ აქვს უკრაინაში, რუსეთსა და ბელარუსში მიმდინარე მოვლენებს.

ხელმძღვანელობა ფიქრობს რომ ამას მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება კომპანიის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვევლობაა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ მდგომარეობას არსებულ გარემოებებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორი. ფინანსური ანგარიშგების შედგენას ახორციელებს მთავარი ბუღალტერი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მმს ფასს) შესაბამისად და დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებებზე: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა, ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის ფუნქციონირებადია და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას. საწარმოს აქტივები (ძირითადი საშუალებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ძირითად საშუალებებად აღიარების კრიტერიუმებს) შეფასებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ფუნქციონალური ვალუტა

ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარება განხორციელდა ბასს 16-ის მოთხოვნათა შესაბამისად. ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასებულია მისი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება მოხდენილია თვითღირებულების მოდელის მიხედვით. ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ნარჩენი (თავდაპირველ ღირებულებას - ცვეთა) ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის პროცესში მათ შეკეთებასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან და სრულყოფასთან დაკავშირებული კაპიტალიზებადი ხარჯებით იზრდება ძირითად საშუალებათა შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

კომპანიის ინვესტიციები ბალანსზე აისახება საბაზრო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. გრძელვადიან აქტივებად, გრძელვადიან ინვესტიციებად, გრძელვადიან სესხებად და კრედიტებად, გრძელვადიან მოთხოვნილებებად და ვალდებულებებად ითვლება ყველა აქტივი ან/და პასივი, საექსპლუატაციოდ გათვლილი ერთ წელზე მეტი ვადით. ფინანსური იჯარა აისახება გრძელვადიან აქტივებში.

ცვეთა. ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი

თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განსაზღვრულია ექსპლოატაციის (ცვეთის) პერიოდი და ცვეთის ღირებულება.

ცვეთადი ღირებულება იანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ნარჩენი ღირებულება მიიჩნევა, როგორც არაარსებითი და ამდენად, ნულს უტოლდება. ცვეთადი ღირებულება აქტივის (ძირითადი საშუალების) თვითღირებულები ტოლია. ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობის აღრიცხვა

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ლოგიკურად გამომდინარეობს ბასს2-ის მოთხოვნიდან, რომ არ შეიძლება აქტივების აღრიცხვა იმაზე მეტი თანხით, რომლის მიღება შესაძლებელია მათი გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასება მიმდინარე აღრიცხვაში წარმოებს ფაქტობრივი თვითღირებულებით, ხოლო ბალანსზე ასახავს, მარაგები შეფასდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის აღსაღრიცხად გამოიყენება მატერიალურ-ფასეულობათა აღრიცხვის მუდმივი (წრფივი) მეთოდი (საბოლოო ნაშთი = საწყის ნაშთს + მიღება - გასვლა).

ხარჯებად აღიარება

მატერიალური ფასეულობების აღიარება ხარჯებად მოხდება მათი ფაქტიურად გახარჯვის (და არა შეძენის) მომენტში. საბუღალტრო აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ტარდება ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, ასევე ფულადი საშუალებებისა და დაუმთავრებელი წარმოების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა/ ინვენტარიზაცია.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღიარდება ბასს 18-ს მოთხოვნათა შესაბამისად.

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა. საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას დღგ-ს დარიცხვა ხდება სსკ-ის მოთხოვნათა შესაბამისად. პროცენტები, როიალტები და დივიდენდები ანგარიშგებაში ასახულია ბასს 18-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად.

საკურსო სხვაობების აღიარება

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

სალაროსა და საანგარიშსწორებო ოპერაციების აღრიცხვა

სხვადასხვა პირებს შორის ანგარიშსწორებისას უპირატესად გამოიყენება უნაღდო ფორმა.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციები ედრება ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ბასს 21-ის მოთხოვნათა დაცვით.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

შრომის ანაზღაურება აღირიცხება ბასს 19-ს – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების“ მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება ხდება ამ სტანდარტის მე-11 პუნქტის შესაბამისად. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი.

ხელფასების გაცემა ხორციელდება დადგენილ ვადებში, მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, შრომის კოდექსით განსაზღვრული წესით.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

დამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვა, გაანგარიშება, დეკლარირება და გადახდა წარმოებს - სსკ-ის XXI თავის 156-181 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

მოგების გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება სსკ-ს XIII თავის - მოგების გადასახადი, 96 -99 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

2017 წლის პირველი იანვრიდან გამოიყენება ე.წ. ესტონური მოდელი.

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში, აისახება ფაქტობრივი ოდენობებით, მოგების გადასახადის დეკლარაციაში კი - სსკ-თ განსაზღვრული შეზღუდვებისა და სხვა პირობების გათვალისწინებით.

საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება სსკ-ს XI თავის 79-82 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი - სსკ-ს XIX თავის 200 -206 მუხლების მოთხოვნათა მიხედვით.

შპს „სტილ საქართველო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

4. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი	3,404,389	1,470,786
დოლარი	37,055	2,097,310
სულ	3,441,444	3,568,096

მათ შორის:

საბანკო ანგარიშებზე	2,892,155	3,375,831
ნაღდი ფული სალაროში	549,289	192,265

5. მოკლევადიანი მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	20,895,077	11,334,915
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	41,721	154,394
სხვა მოთხოვნები	2,156	13,000
მოთხოვნა სესხზე დარიცხულ პროცენტზე	-	412,298
სულ	20,938,954	11,914,608

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საქონელი	28,602,699	35,042,577
სხვა მატერიალური მარაგები	71,601	50,532
საწვავ-საცხები	20,246	2,592
სულ	28,694,545	35,095,701

შპს „სტილ საქართველო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

7. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დამთავრებული მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული მოწყობილობები	ავეჯი და ინვენტარი	სპეციალური ინსტრუმენტები	ტოტრანსპორტი	სულ
თვითღირებულება											
01.01.2021	1,328,599	864,106	1,618,688	847,468	1,334,230	19,895	22,166	9,282	10,447	543,710	6,598,591
დამატებები	237,790	1,101,834	-	-	15,035	-	-	-	-	-	1,354,658
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-	-	(26,104)	(26,104)
31.12.2021	1,566,389	1,965,939	1,618,688	847,468	1,349,265	19,895	22,166	9,292	10,447	517,606	7,927,145
დამატებები	50,000	806,485	-	4,237	105,478	-	-	475	1,060	-	967,735
გასვლები	-	(2,755,094)	2,755,094	-	-	-	-	-	-	-	-
გადატანა	-	-	(79,222)	-	-	-	-	-	-	-	(79,222)
31.12.2022	1,616,389	17,330	4,295,097	851,705	1,454,743	19,895	22,166	9,757	11,507	517,606	8,816,194
დაგროვილი ცვეთა											
01.01.2021	-	-	(424,198)	(226,571)	(791,360)	(13,364)	(15,763)	(5,339)	(4,699)	(215,793)	(1,697,088)
2021 წლის ცვეთა	-	-	(59,501)	(31,045)	(107,459)	(1,531)	(1,302)	(789)	(1,150)	(60,387)	(263,162)
31.12.2021	-	-	(483,700)	(257,616)	(898,819)	(14,895)	(17,065)	(6,128)	(5,849)	(276,179)	(1,960,250)
2022 წლის ცვეთა	-	-	(40,625)	(29,652)	(101,485)	(1,239)	(1,041)	(833)	(1,366)	(62,664)	(238,905)
31.12.2022	-	-	(524,325)	(287,268)	(1,000,304)	(16,134)	(18,106)	(6,961)	(7,215)	(338,843)	(2,199,156)
საბალანსო ღირებულება											
01.01.2021	1,328,599	864,106	1,194,490	620,897	542,870	6,530	6,403	3,943	5,748	327,917	4,901,503
31.12.2021	1,566,389	1,965,939	1,134,989	589,852	450,446	5,000	5,101	3,154	4,599	241,426	5,966,895
31.12.2022	1,616,389	17,330	3,770,772	564,438	454,439	3,760	4,059	2,796	4,292	178,763	6,617,039

8. საგადასახადო აქტივი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს წმინდა საგადასახადო აქტივი 1,171,538 ლარი, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა - 1,143,895 ლარი.

9. გაცემული სესხი

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გაცემული სესხის ძირი და დარიცხული პროცენტი	494,383	70,000
სულ	494,383	70,000

10. მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	2,750,787	1,288,347
ვალდებულებები საბაჟოს წინაშე	997,692	815,693
სულ	3,748,479	2,104,040

11. მოკლევადიანი სესხები

ქვემოთ მოცემული მოკლევადიანი სესხების მოძრაობა შედგება საკრედიტო ხაზისა და კომპანიის პარტნიორების სესხებისაგან.

ბალანსი 01.01.2021	835,822
სესხის მიღება	3,095,900
სესხის ძირის და პროცენტის დაფარვა	(341,242)
ბალანსი 31.12.2021	3,590,479
სესხის მიღება	11,222,299
სესხის ძირის და პროცენტის დაფარვა	(9,982,527)
ბალანსი 31.12.2022	4,830,252

12. გრძელვადიანი სესხები

ბალანსი 01.01.2021	5,915,319
სესხის მიღება	1,692,300
პროცენტის დარიცხვა	874,313
პროცენტის დაფარვა	(874,313)
სესხის ძირის დაფარვა	(3,860,813)
ბალანსი 31.12.2021	3,746,807
სესხის მიღება	1,485,350
პროცენტის დარიცხვა	588,117
პროცენტის დაფარვა	(588,117)
სესხის ძირის დაფარვა	(2,919,635)
ბალანსი 31.12.2022	2,312,522

13. შემოსავლები

	2022	2021
საქონლის რეალიზაცია	82,396,417	50,320,390
სხვა საოპერაციო შემოსავლები	67,828	40,173
სულ	82,464,244	50,360,563

14. თვითღირებულება

	2022	2021
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	73,266,185	33,248,772
სხვა საერთო საწარმოო ხარჯები	54,689	56,973
სულ	73,320,874	33,305,745

15. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	739,848	478,109
ძირითადი საშუალებების ცვეთა	238,905	263,162
საწვავის ხარჯები	181,495	99,596
საიჯარო ქირა	173,993	120,280
რემონტის ხარჯები	63,813	35,706
საბანკო ხარჯები	62,360	27,184
სოციალური დანარიცხები	59,789	7,174
კომუნალური ხარჯები	44,815	35,111
საკონსულტაციო ხარჯები	44,450	31,845
საგადასახადო ხარჯები	41,923	25,186
სამეურნეო ხარჯები	30,400	40,519
დაზღვევის ხარჯები	16,432	11,501
კომუნიკაციის ხარჯები	10,639	7,492
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,980	1,384
სხვა საერთო ხარჯები	82,082	56,724
სულ	1,792,924	1,240,972

16. მიწოდების ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება, საკომისიო	267,971	758,618
პროდუქციის ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	150,185	28,818
სულ	418,156	787,436

17. გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო გადაწყვეტილებები. ჩვეულებრივი საქმიანობაში კომპანიამ დროდადრო შესაძლოა მიიღოს სხვადასხვა სარჩელი. საკუთარ შეფასებაზე და როგორც შიდა ისე გარე პროფესიულ რჩევებზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობა ფიქრობს რომ სარჩელების გამო არსებითი ზარალი არ დადგება ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ ანარიცხებზე მეტი თანხით.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალური დოკუმენტებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადები რამდენიმე სამთავრობო ორგანოს მიერ გადაიხდება და მოწმდება, რომელთაც აქვთ საურავების, ჯარიმების და პროცენტების დაკისრების უფლებამოსილება. ფისკალური წელი ექვემდებარება განხილვას საგადასახადო ორგანოების მიერ მომდევნო სამი წლის მანძილზე, თუმცა გარკვეულ გარემოებებში ფისკალური წლის განხილვა შეიძლება მოხდეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ამ გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკები საქართველოში რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

გარემოსთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს გარემოს დაცვის რეგულაციები დგინდება და აღსრულება ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ და გადაიხდება მუდმივად. კომპანია პერიოდულად აფასებს მის ვალდებულებებს გარემოს დაცვის რეგულაციებთან დაკავშირებით. როდესაც ვალდებულებები განისაზღვრება, ისინი მაშინვე აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც წარმოშვება არსებული რეგულაციების ცვლილებიდან, სამოქალაქო სარჩელებიდან ან კანონმდებლობიდან, არ შეიძლება შეფასდეს მაგრამ შესაძლოა არსებითი იყოს. მიმდინარე კანონმდებლობის სააღსრულებლო კლიმატში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია რომ არ არსებოს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოს ზიანისთვის.

კლიმატის ცვლილების საკითხის გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა და გააცნობიერა გლობალური შეშფოთება კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, ხოლო კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს კომპანიის სრულყოფილებიანი ოპერირების უზრუნველსაყოფად.

„შპს სტილ საქართველო“ დირექტორი

მთავარი ბუღალტერი:



/დავით ფრუიძე/

/თამარ გრძელიძე/

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალური დოკუმენტებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადები რამდენიმე სამთავრობო ორგანოს მიერ გადაიხდება და მოწმდება, რომელთაც აქვთ საურავების, ჯარიმების და პროცენტების დაკისრების უფლებამოსილება. ფისკალური წელი ექვემდებარება განხილვას საგადასახადო ორგანოების მიერ მომდევნო სამი წლის მანძილზე, თუმცა გარკვეულ გარემოებებში ფისკალური წლის განხილვა შეიძლება მოხდეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ამ გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკები საქართველოში რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

გარემოსთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს გარემოს დაცვის რეგულაციები დგინდება და აღსრულება ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ და გადაიხდება მუდმივად. კომპანია პერიოდულად აფასებს მის ვალდებულებებს გარემოს დაცვის რეგულაციებთან დაკავშირებით. როდესაც ვალდებულებები განისაზღვრება, ისინი მაშინვე აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც წარმოშვება არსებული რეგულაციების ცვლილებიდან, სამოქალაქო სარჩელებიდან ან კანონმდებლობიდან, არ შეიძლება შეფასდეს მაგრამ შესაძლოა არსებითი იყოს. მიმდინარე კანონმდებლობის სააღსრულებლო კლიმატში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია რომ არ არსებოს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოს ზიანისთვის.

კლიმატის ცვლილების საკითხის გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა და გააცნობიერა გლობალური შემფოთება კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, ხოლო კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს კომპანიის სრულყოფილებიანი ოპერირების უზრუნველსაყოფად.

„შპს სტილ საქართველო“ დირექტორი:

/დავით ფრუიძე/

მთავარი ბუღალტერი:

/თამარ გრძელიძე/

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

(შპს „სტილ საქართველო“-ს და მისი შვილობილი კომპანიების 2022 წლის
საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია შპს „სტილ საქართველოს“ ხელმძღვანელობის მიერ

სარჩევი

შესავალი -----	1
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა-----	2
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები-----	2
ანალიტიკური მაჩვენებლები-----	3
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები-----	4

შესავალი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, შპს „სტილ საქართველო“, როგორც მეორე ზომითი კატეგორიის სუბიექტი, ვალდებულია შეადგინოს და წარადგინოს მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვა.

კომპანიამ 2014 წლიდან დაიწყო აღმავალი განვითარება და ბაზარზე დამკვიდრდა, როგორც კონკურენტუნარიანი.

კომპანია მოწადინებულია გააგრძელოს საქმიანობა და განახორციელოს ღიაობის პრინციპი კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმითა და მოცულობით.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- კომპანიის წესდება.
- ბიზნესის მარეგულირებელი სხვა აქტები.

შპს „სტილ საქართველო“ (ს/ნ 401950377) დაარსა ფ/პ გივი წიკლაურმა (პ/ნ 01024050005) 2010 წლის 23 სექტემბერს, ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზირი №77-ში. 2013 წლის 27

სექტემბერს გივი წიკლაურმა მისი კუთვნილი 100% წილი 3 000 000 ლარად გაყიდა ვაჟა აფციაურზე (პ/ნ 01024013329 – 33,4%), კახაბერი სანოძეზე (პ/ნ 60002001603 – 33,3%) და სერაპიონ ჩირგაძეზე (პ/ნ 53001004179 – 33,3%). ამავე დროს შეიცვალა შპს-ს იურიდიული მისამართი და გახდა საქართველო, ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №10. 2015 წლის 20 აპრილს ვაჟა აფციაურმა მისი წილი შპს-ში გირავნობით დატვირთა სს „თიბისი ბანკში“. ეს გირავნობა გაუქმდა 2017 წლის 27 ივნისს. ამავე დროს, ვაჟა აფციაურმა მისი კუთვნილი 33,4% წილიდან 16,7% მიჰყიდა კახაბერი სანოძეს და 16,7% - სერაპიონ ჩირგაძეს, თვითოეულს 1609 493,50 ლარად. შედეგად, შპს-ს 50% - 50% წილის მფლობელები გახდნენ კახაბერი სანოძე და სერაპიონ ჩირგაძე.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში შპს „სტილ საქართველო“ დირექტორია დავით ფრუიძე (პ/ნ 53001020058).

შპს „სტილ საქართველო“-ს (ს/ნ 401950377) მიერ დაფუძნებულია სამი შპს:

1. შპს „ვესტ გრუპ-WEST GROUP“ (ს/ნ 412692910) - წილი 75%;

შპს „ვესტ გრუპ- WEST GROUP“ (ს/ნ 412692910) დაფუძნებულია 2013 წლის 13 აგვისტოს შპს „სტილ საქართველოს“-75% და ფ/პ ლიკა ფხაკაძის (პ/ნ 60001135969)-25% მიერ. შპს „ვესტ გრუპ- WEST GROUP“-ს რეგისტრაციიდან დღემდე, არანაირი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა არ უწარმოებია.

2. შპს „ტორი“ (ს/ნ 412728384) - წილი 50 %.

შპს „ტორი“ (ს/ნ 412728384) დაფუძნებულია 2017 წლის 30 ივნისს ფ/პ თამაზი შალიკიანის

(პ/ნ 60001025022) მიერ. მის დირექტორად დაინიშნა ომარი გორგასლიძე (პ/ნ 60001014036). 2017 წლის 30 ოქტომბერს თამაზი შალიკიანმა თავისი 100% წილიდან 50% უსასყიდლოდ გადასცა შპს „სტილ საქართველოს“ და 25% - ფ/პ ლევანი ბერეკიძეს (პ/ნ 60001085240). ამავე დღეს დირექტორად დაინიშნა და დღემდე დირექტორია კახაბერი სანოძე (პ/ნ 60002001603). შპს „ტორი“ 2022 წლის პერიოდში არ ფუნქციონირებდა.

3. შპს „სტილ საქართველო-სამეგრელო“ (ს/ნ 412697363) - წილი 90%;

შპს „სტილ საქართველო-სამეგრელო“ (ს/ნ 412697363) დაფუძნებულია 2014 წლის 04 მარტს შპს „სტილ საქართველოს“-90% და ფ/პ დავით მესხიას (პ/ნ 01024058260)-10% მიერ.

დაარსების დღიდან დღემდე, მისი დირექტორია კახაბერი სანოძე (პ/ნ 60002001603).

საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს „სტილ საქართველოს“ და მისი დაფუძნებული საწარმოები ერთ სფეროში მოღვაწეობენ. მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა:

- უცხოური და ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა ასორტიმენტის რკინის ნაწარმის შეძენა და რეალიზაცია, როგორც საცალო, ისე საბითუმო მომხმარებლებზე.

- ლითონის ფურცლებიდან სახურავების დამზადება და რეალიზაცია, როგორც საცალო, ისე საბითუმო მომხმარებლებზე.

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად: ფართო სპექტრის რკინის ნაკეთობები;

სხვადასხვა ფორმის ლითონის სახურავები;

კომპანია ეწევა რეალიზებული საქონლის ტრანსპორტირების მომსახურებას მომხმარებლის დაკვეთით.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ:

საკუთრივ, შპს „სტილ საქართველოს“ ქუთაისში, სენაკსა და ზესტაფონში გააჩნია საქონლის სარეალიზაციო პუნქტები, რომლებიც არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ერთეულებს. კომპანია საქმიანობას ეწევა, ძირითადად ქუთაისში დისლოცირებული ობიექტებიდან. სენაკსა და ზესტაფონში არსებული სარეალიზაციო პუნქტები კი, დღეის მდგომარეობით, კომპანიის საქმიანობაში ამინდს არ ქმნიან და ამ ობიექტებიდან შემოსავლები უმნიშვნელოა. შპს „სტილ საქართველოში“ 2019 ოქტომბერში დაიწყო და

2020 წლის ბოლოსთვის ექსპლოატაციაში შევიდა საქონლის სასაწყობო და სარეალიზაციო დამატებითი ფართები, რითაც თითქმის ორმაგდება საქონლის განთავსება-რეალიზაციის რესურსი; გარდა ამისა, შესაძლებელი გახდება საქონლის იზოლირებულად, განმხოლოვებულად, განთავსება თითოეული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით, რაც მოგვცემს შესაძლებლობას ჩატარდეს სასაქონლო ნაშთის სრული ინვენტარიზაცია და ქმნის სათანადო პირობებს სასაქონლო მარაგების სააღრიცხვო ნაშთებთან შესაბამისობის ოპერატიული კონტროლისთვის.

აღნიშნული ობიექტის ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ, მნიშვნელოვნადაა შემოსავლები გაზრდილი.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შპს სტილ-საქართველოს ინდივიდუალური საქმიანობის ბოლო ორი წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში:

დასახელება	31.12.2022	31.12.2021	სხვაობა წინა წელთან შედარებით	% სხვაობა წინა წელთან შედარებით
აქტივების ჯამური ღირებულება	61,360,281	58,085,507	3,274,774	6%
მიმდინარე აქტივები	54,740,864	50,248,751	4,492,114	9%
გრძელვადიანი აქტივები	6,619,417	7,836,756	(1,217,339)	-16%
ვალდებულებების ჯამური ღირებულება	10,891,253	10,116,473	774,780	8%
მიმდინარე ვალდებულებები	8,578,731	5,252,835	3,225,897	63%
გრძელვადიანი ვალდებულებები	2,312,552	4,863,638	(2,551,116)	-52%
სულ კაპიტალი	50,469,027	46,816,138	3,652,890	8%
შემოსავალი რეალიზაციიდან	82,464,244	49,456,997	33,007,267	67%
წლის მოგება	4,269,316	13,085,081	(8,815,765)	-67%

როგორც ცხრილიდან ჩანს, შპს „სტილ საქართველოს“ 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების დინამიკა დადებითია წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი წინსვლაა, ამასთან, კლებულობს გრძელვადიანი ვალდებულებები

ანალიტიკური მაჩვენებლები

საქმიანობის შედეგებზე უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ანალიტიკური მაჩვენებლები:

ა) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (Current ratio) - მიმდინარე აქტივებით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის უნარი, მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდება. ეს მაჩვენებელი 2022 წლის ბოლოსთვის უდრის 5.63, 2021 წლის ბოლოს – 5.74. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 2.0);

ბ) სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი (Quick ratio) – მიმდინარე ვალდებულებების კონვერტირებადი აქტივებით დაფარვის შესაძლებლობა შემოსავლების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმდინარე აქტივებისა და მარაგების სხვაობის თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან. 2022 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 3.71, 2021 წლის ბოლოს - 4.56. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 1.0);

გ) აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი (Absolute liquidity ratio) მოკლევადიანი ვალდებულებების დაუყოვნებლივ დაფარვის შესაძლებლობა ანგარიშსწორების ანგარიშზე და ბანკებში სხვა ანგარიშზე ფულადი სახსრების ხარჯზე. თეორიულად საკმარისი მნიშვნელობაა 0,20-0,25. 2022 წლის ბოლოს იგი შეადგენდა 3.04, 2021 წლის ბოლოს - 2.88. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.2);

დ) უკუგება აქტივებზე (Return on assets. ROA) მიუთითებს ფინანსურ უკუგებაზე გამოყენებული აქტივებიდან. იგი 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 1.34, 2021 წლის ბოლოსთვის - 0.85. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.);

ე) კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (Return on equity ROE) იგი ასახავს რამდენად ეფექტიანად გამოიყენება დაბანდებული სახსრები. იგი 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 0.82, 2021 წლის ბოლოსთვის - 0.81. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.);

ვ) დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Accounts receivable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენადაა დალაგებული ურთიერთობა კონტრაგენტებთან. იგი 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 3.95, 2021 წლის ბოლოსთვის - 4.15. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0);

ზ) კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Accounts payable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენჯერ იფარება კრედიტორული დავალიანება წლის განმავლობაში. იგი 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 19.56. 2021 წლის ბოლოსთვის - 15.83. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0).

ამდენად, კომპანიის ყველა ანალიტიკური მაჩვენებელი ბევრად აღემატება კრიტიკულ ზღვარს და დადებითი ტენდენციით ხასიათდება.

შპს „სტილ საქართველო“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2022 წლის 31 დეკემბერი

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

იგი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კონკურენციის გაზრდა და სხვა ფირმები გააფარბებენ დავიანთი მოქმედების არეალს, ან მოხდება სერიოზული ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილში, რაც გამოიწვევს გადასახადების გაზრდას.

მენეჯმენტის აზრით ასეთი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, დღეისათვის ანალოგიური ფაქტორები არ ფიქსირდება და მომავალშიც არაა მოსალოდნელი რამე ისეთი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის საქმიანობაზე.

„შპს სტილ საქართველო“ დირექტორი:



/დავით ფრუიძე/

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

იგი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კონკურენციის გაზრდა და სხვა ფორმები გააფართოებენ თავიანთი მოქმედების არეალს, ან მოხდება სერიოზული ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილში, რაც გამოიწვევს გადასახადების გაზრდას.

მენეჯმენტის აზრით ასეთი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, დღეისათვის ანალოგიური ფაქტორები არ ფიქსირდება და მომავალშიც არაა მოსალოდნელი რამე ისეთი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის საქმიანობაზე.

„შპს სტილ საქართველოს“ დირექტორი:

/დავით ფრუიძე/